შპს ტელე-რადიო კორპორაცია ,,ინფორმკავშირის,, ტელევიზია ,,არგოს,,

ღია საეთერო

მულტიფლექს პლატფორმის თავისუფალ რესურსთან

დაშვების წინადადება

(მოწვევის ოფერტა)

ზესტაფონი

15 ივლისი, 2018 წელი

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია ტელევიზია „არგოს„ მულტიფლექს პლატფორმასთან დამვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება „ოფერენტის„ თავისუფალ რესურსთან დამვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში „აქცეპტანტი„).

ტელევიზია „არგოს„ ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების „ოფერენტის„ თავისუფალ რესურსთან დამვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1.1. მომსახურება იწარმოება DVB-T (EN300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/TEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T COFDM:8k, 64-QAM, Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ.წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ზესტაფონი, ზაპოროჟიეს ქუჩა N1.

1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: ციფრული ინტერფეისი (SD/HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. „ოფერენტის„ კუთვნილ ქსელთან დამვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1 ტელევიზია „არგოს„ ზონაში ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 491 (ოთხას ოთხმოცდათერთმეტი) ლარს, SD ფორმატში 1055 ლარი HD ფორმატში 3927 ლარი გადასახადების გარეშე..

3. „ოფერენტის„ კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები.

3.1 აქცეპტანტი ვალდებულია წარადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2018 წლის 20.06-დან და მოქმედებს ახალ ტარიფიკაციის დადგენამდე.

შპს ტელე-რადიო კორპორაცია „ოფერენტი„

ტელევიზია „არგოს„ დირექტორი: მარინე ჯუღელი